

# „კულტურა ყველასათვის“ – ინდიკატორი ეკონომიური განვითარებისა და სანერეთაშორისო თანამშრომლობისათვის

პოლიტიკის დოკუმენტი



2016

„კულტურა ყველასათვის“ –  
ინდიკატორი ეკონომიური განვითარებისა და  
საერთაშორისო თანამშრომლობისათვის“

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორები: მარინე სოლომონიშვილი, რახილ სოლომონია, თეა გალდავა

## რეზიუმე

საქართველოსათვის კულტურა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და პერსპექტიული დარგია. მის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. მისი სათანადო განვითარებისათვის საჭიროა კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და განვითარება. დღესდღეობით თვით ის იდეა, რომ კულტურული მრავალფეროვნება და, განსაკუთრებით კი ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობა, უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკურ ზრდას, ექსპორტისა და დასაქმების ხელშეწყობას, რომ ეს დარგი უნდა გაძლიერდეს, ჯერჯერობით არ არის პოპულარული და არც შესწავლილი. კულტურული მრავალფეროვნების სათანადო განვითარებისათვის საჭიროა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ეფუძნება ფაქტობრივ მონაცემებს და კვლევებს ამ სფეროში, რომელიც დამყარებული იქნება უახლოეს წარსულ გამოცდილებაზე და მსოფლიოში მიმდინარე ახალ ტენდენციებზე.

პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია საკითხთა ნუსხა, რომელიც ითვალისწინებს საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა, კერძოდ, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა ჩართვას კულტურის პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და განხორციელების პროცესში. ამას ითვალისწინებს, აგრეთვე, ასოცირების ხელშეკრულების მე-17 თავის 362 და 363 მუხლები, კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა, იუნესკოს 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენცია.

აღნიშნული საკითხი მრავლისმომცველია, დოკუმენტი არ განიხილავს ყველა პრობლემურ საკითხს, რომელიც საქართველოში კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესს ეხება, არამედ განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა და მისი როლი ქვეყნის განვითარების საქმეში, ასევე კულტურა და შემოქმედებითი ინდუსტრია, თანაბარი ხელმისაწვდომობა კულტურაზე დედაქალაქსა თუ პერიფერიებში და სხვ. ამასთან, დასმულია პრობლემა, რაც ეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს - საჯარო მმართველობის ისეთი კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც იქნება ანგარიშვალდებული და გაითვალისწინებს საზოგადოების კონკრეტულ საჭიროებებს. საჯარო მოხელეთა პროფესიული ზრდა და ეთნიკურ-რელიგიურ უმცირესობათა მონაწილეობის გაუმჯობესება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საგრძნობლად შეუწყობს ხელს ყველა იმ საჭიროების და მოთხოვნის აღნუსხვას, რომელიც ესოდენ საჭიროა კულტურის პოლიტიკის შედგენის დროს. თავისთავად, სწორად დასმული საკითხი მნიშვნელოვანია სწორი დაგეგმარებისა და სამოქმედო გეგმის შედგენისათვის, რაც აუცილებელი პროცესია საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობისათვის, კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

ეთნიკურ და რელიგიურ სათემო კულტურებს თავისი თვითმყოფადობით უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ცნობადობის გაზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ქვეყნის მდგრადი განვითარება, მით უფრო ისეთი ქვეყნისა, როგორც საქართველოა, თავის არსში მოიცავს მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის წამორჩენას და კულტურული ინდუსტრიების განვითარებას. ისეთი გარემოების წარმოჩენას, სადაც დაცულია მრავალფეროვანი კულტურული და ბუნებრივი გარემო, კულტურული მემკვიდრეობა და ასევე იმასაც, რომ საზოგადოების ყველა ნაწილს, დედაქალაქსა თუ პერიფერიებში მცხოვრებ ადამიანებს თანაბრად ჰქონდეთ წვდომა კულტურაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება კი გააუმჯობესებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების მექანიზმებს კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის საკითხზე.

## **შესავალი**

### **პრობლემის დასმა**

2016 წლის 1 ივლისიდან ძალაშია და ამოქმედდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ყველა მუხლი. დოკუმენტის განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას და მხარეთა შორის თანამშრომლობის პრიორიტეტების შერჩევისას საქართველოს ხელისუფლება ნაკლებად ითვალისწინებს კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში.

კულტურის საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოს ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. ამასვე ადასტურებს ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმება, რომლის თანახმად საქართველოს აღებული აქვს შემდეგი ვალდებულებები: ასოცირების შეთანხმების მე-17 თავის 362-ე და 363-ე მუხლების შესაბამისად, ვალდებულებათა ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების საქმეში, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში კულტურის როლის წარმოჩენა, რაც თავის თავში მოიცავს კულტურათა შორის დიალოგის, მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას, იუნესკოს 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციით განმტკიცებული პრინციპების სათანადოდ გათვალისწინებას და ევროკავშირსა და საქართველოში ე.წ. შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას.

2008 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს მთავრობამ მოახდინა იუნესკოს 2005 წლის კონვენციის რატიფიცირება, თუმცა დოკუმენტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მუშაობა არათანმიმდევრულად მიმდინარეობს. მაგ.: კონვენციის მიხედვით, ყოველ 4 წელიწადში სახელმწიფომ უნდა ჩააბაროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დეტალური ანგარიში. ეს ანგარიში ჯერ კიდევ 2012 წელს უნდა ყოფილიყო მომზადებული იუნესკოს სათავო ოფისში წარსადგენად. რამდენადაც ცნობილია, ანგარიში ჯერ ისევ მომზადების პროცესშია. ასევე არ არსებობს კონვენციის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა საქართველოში.

### *იუნესკოს 2005 წლის კონვენცია და ადამიანის კულტურაზე წვდომის უფლება*

კონვენციის პრეამბულაშივეა გაცხადებული ყველა ის მნიშვნელოვანი თეზა თუ მიმართულება, რომელიც ყოველი დემოკრატიული ქვეყნის კულტურის პოლიტიკის საბაზისო დოკუმენტის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, კერძოდ:

- კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, რომლის დაცვა და ხელშეწყობა აუცილებელია თითოეული ადამიანის საკეთილდღეოდ;
- საქართველო აღიარებს, რომ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად;
- საქართველო უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის კულტურული თვითმყოფადობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას.

კულტურული მოღვაწეობა საქართველოში არის ადამიანის შეუვალი უფლება, განურჩევლად მისი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. სახელმწიფო დონეზე ნაკლებად ხდება კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად ხელშეწყობა და დაფინანსება, რათა სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ეთნიკურ/რელიგიური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების და სხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები.

ასევე აღსანიშნავია, რომ დღემდე აქტუალურია რეკომენდაციები “იუნესკოს კონვენციის კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იმპლემენტაციის შესახებ”, რომელიც შემუშავდა 2013 წელს პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში მე-4 ჯგუფის კულტურის ქვეჯგუფის მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული სამოქალაქო

საზოგადოების პლატფორმა (“Strengthening and Capacity Building of the Georgian National Platform for the Eastern Partnership” პროექტის ფარგლებში).

აქვე გვინდა დავამატოთ, რომ ჩართულობის მხრივ არათუ მოსახლეობის ყველა ფენას, არამედ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ და ამ სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეთა ჩართულობა კულტურის საკითხებში საკმაოდ დაბალია. ეს პროცესი თვალშისაცემია როგორც თბილისში, ისე საქართველოს რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად სახლობენ; ქვეყანაში, სადაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია და უმეტესად კულტურული პოლიტიკის სასიცოცხლო საკითხებს პოლიტიკოსები ქმნიან და წყვეტენ. ამ ვითარებას ნაკლები დამოკიდებულება აქვს ისეთ პროცესთან, რომელსაც, ასე ვთქვათ, მართვის არავერტიკალურ სისტემას ვეძახით, სადაც გადაწყვეტილების მიღების დროს მოსახლეობა თანაბრად არის ჩართული.

## **პრობლემის ანალიზი და გადაჭრის გზები**

### *სახელმწიფო უწყებები და უწყებათაშორისი დიალოგი კულტურის პოლიტიკის შემუშავების პროცესში*

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან შემუშავების და განხორციელების პროცესშია რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 2016 წელს შემუშავებული „კულტურის პოლიტიკა 2025“. დოკუმენტის განხილვის პროცესში საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ წარმომადგენლებთან და ფოკუსჯგუფებთან, მიმდინარე კვლევითი მუშაობის შედეგად მუშავდება გარკვეული რეკომენდაციები, რომელიც შევა ზემოაღნიშნულ დოკუმენტში. დოკუმენტის შედგენის ინიციატორია საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და პროცესი უშუალოდ სამინისტროს კოორდინაციით მიმდინარეობს. თავისთავად, ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტზე მუშაობის დაწყება უკვე დიდი მოვლენაა, რაც სამინისტროს მხოლოდ დადებითად ახასიათებს. თუმცა კი, აღსანიშნავია რიგი ფაქტორებისა, რომელიც წინასწარ ქმნის განწყობას, რომ ეს დოკუმენტი, შესაძლოა, არასრულყოფილი იყოს. იმის გამო, რომ დოკუმენტის შემუშავების პროცესში ნაკლებად ხდება თბილისსა და რეგიონებში მოღვაწე ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა ჩართულობა და კულტურული მოთხოვნების გათვალისწინება, დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი ხარვეზებს შეიცავს საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და ინტეგრაციის საკითხებში.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ უწყებათაშორის დონეზე ნაკლებად ხდება კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო დოკუმენტებს შორის, რომლებიც კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას ეხება, მაგ.: „კულტურა 2025“ და „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის

ეროვნული კონცეფცია - 2009-2014 წწ“, სადაც მეექვსე მიმართულება ეხებოდა ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას, რაც მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ჩვენი საზოგადოებისთვის. ამისი შემდგომი დოკუმენტია ”სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2015-2010 წწ” და სამოქმედო გეგმა, სადაც მეოთხე მიმართულებაა ”ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა”. დოკუმენტი შემუშავებულია და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ამავე უწყებას ეხება მისი განხორციელება.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს საინტერესო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ცხოვრების წახალისებას, კერძოდ: „ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ფარგლებში ღია კონკურსის პრინციპით განაცხადის შეტანა შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას. მიუხედავად ამისა, ამა წლის პირველივე ღია კონკურსზე შეინიშნებოდა ეთნიკურ უმცირესობათა და რეგიონული ორგანიზაციების პასიური მონაწილეობა.

**მიუხედავად რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების საკითხი მაინც ხარვეზებით მიმდინარეობს. კერძოდ, შეინიშნება უწყებათაშორისი კოორდინაციის სისუსტე.<sup>1</sup>**

ნაკლებად ხდება კოორდინაცია ადგილობრივ თვითმმართველობებთან და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. ასევე, ნაკლებია კოორდინაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომელიც მნიშვნელოვან საინტეგრაციო პროექტებს ახორციელებს.

დაბალი და არაეფექტურია კოორდინაცია არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის. აგრეთვე დაბალია მოცემულ საკითხთან მიმართებაში ადგილობრივ საჯარო მოხელეთა პროფესიული დონე, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

„კულტურის სტრატეგია 2025“-ში აღნიშნულია, რომ სტრატეგია „ითვალისწინებს ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებსა და მათში ასახულ პრინციპებს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ

---

<sup>1</sup> 2009 წლის 3 ივლისის N14 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, ასევე შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების, აგრეთვე თბილისის საკრებულოს და ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამი სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები. <http://www.smr.gov.ge/docs/doc42.pdf>

შეთანხმებას“ და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. მთელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კულტურასა და შემოქმედებით სფეროზე, მის წვლილზე საზოგადოების კეთილდღეობასა და მდგრად განვითარებაში; კულტურული მრავალფეროვნების დაცვას; კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას საზოგადოების ყველა წევრისთვის, განურჩევლად სქესის, რელიგის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა“. “კულტურის პოლიტიკის 2025” და სამოქმედო გეგმის და სხვა დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში აუცილებლად მიგვაჩნია, საკადრისი ყურადღება მიექცეს როგორც მცირერიცხოვანი სათემოების მონაწილეობას თბილისსა და რეგიონებში, ისე რეგიონებს, სადაც ლოკალურად სახლობენ ეროვნული უმცირესობები.

დემოკრატიზაციის დეკლარირების მიღმა სახელმწიფო პოლიტიკა კულტურის დარგში ხელს არ უწყობს ახალი ფორმებით - ინტერკულტურული კომუნიკაციებით, ინტერნაციონალური თანამშრომლობით კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერას, განსაკუთრებით კი ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დღეს მიღებული სტრატეგია “კულტურა 2025” კვლავ სტიმულაციას უკეთებს პატრონაჟულ და კონსერვატორულ მიმართებებს, სახელმწიფოებრივად ცენტრალიზებულია და მხარს უჭერს კულტურის ცენტრალიზებულ მენეჯმენტს.

კულტურული მოღვაწეობა კულტურის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. კულტურის პოლიტიკის მთავარი ამოცანაა სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება და თანმიმდევრობა, რაც თავისთავად გულისხმობს ძველის, ანუ მემკვიდრეობის კონსერვაციას, შენახვას, დაცვას, გავრცელებას, ასევე, ახალი მიმართულებების ხელშეწყობასა და განვითარებას. სახელმწიფოს კულტურის სფეროში მონაწილეობის თანამედროვე ფორმა კულტურის სფეროს კოორდინაციასა და რეგულირებაში გამოიხატება, რაც პირდაპირ კავშირშია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და ფუნქციობასთან, ყველა მოქალაქისთვის კულტურაზე ხელმისაწვდომობასთან, ხელოვნებისა და შემოქმედების ყველა სხვა სახეობის მხარდაჭერასთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებში საკუთარი კულტურის გატანასა და მათზე კულტურულ ზემოქმედებასთან.

ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტექსტის ცვლილებასთან ერთად, სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის განვითარების პარალელურად, მკვიდრდებოდა საზოგადოებრივი აზრისა და კერძო სექტორის მიერ თავსმოხვეული მასობრივი კულტურის მიმართულებები, რაც კერძო სექტორის მიერ და სხვადასხვა პროგრამებით ფინანსდებოდა. ბოლო წლებში საქართველოში კულტურის პოლიტიკის ფორმირება ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსებით ხდებოდა. 2004 წლიდან დღემდე ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ზოგადად სისტემის შენარჩუნება; დეკლარაციულ



დონეზე, კრეატიულობის გაძლიერებისა და ძალაუფლებისა და საკუთრების გადანაწილების საშუალებით, დეცენტრალიზებული მოდელის შექმნის იდეის მხარდაჭერა ცხადდებოდა. საკითხი, თუ ვინ ქმნის პოლიტიკას, ერთ-ერთი ყველაზე რთული და საკამათოა. ჩვენს საზოგადოებაში კულტურა ხშირად გაგებულია, როგორც სპეციფიკური სფერო და მისი როლი საზოგადოების ფორმირებაში მხოლოდ ნაწილობრივ არის გაცნობიერებული.

ჩნდება კითხვა - რეალურად რამდენად უზრუნველყოფილია საქართველოში მოქალაქის უფლება კულტურაზე?

უმეტესად კულტურული პოლიტიკის სასიცოცხლო საკითხებს პოლიტიკოსები ქმნიან/წყვეტენ. საზოგადოების პასიური პოზიცია კი აძლევს მათ საშუალებას, საკუთარი სურვისლის მიხედვით წარმართონ კულტურული პოლიტიკა და თამაშგარე დატოვონ საზოგადოების დანარჩენი ნაწილი, ე.ი. წაართვან მათ მოქალაქეობრივი უფლება.

**2016 წელს კულტურის პოლიტიკის შემუშავების პროცესში გარკვეულწილად ჩართულნი იყვნენ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, თუმცა ვინაიდან ამ ხალხის ინფორმირება და დასწრება გარკვეულ შეკრებებზე გუბერნატორების ოფისების მოვალეობა იყო, მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ძირითადად ქალაქებში გამგებლები და სხვა ადმინისტრაციული კადრები იღებდნენ მონაწილეობას, სხვა დამსწრენი კი პასიური მსმენელის როლში იყვნენ და არ ხდებოდა საჭიროების შესწავლა, კონკრეტულ გეგმებში ასახვა რეგიონში კულტურის პოლიტიკის განვითარებისთვის.**

საქართველოში ადგილობრივი მმართველობებისა და თვითმმართველობების დონეზე დღეისათვის პრობლემურია კულტურისა და ხელოვნების სფეროების დაფინანსება. შედარებით გამონაკლისს დედაქალაქი - თბილისი წარმოადგენს, (თუმცა, აქაც აღვნიშნავთ, რომ დაბალია დაფინანსება ეთნიკურ/რელიგიური უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის მხრივ). სწორედ ამ მიზეზის გამო როგორც სახელმწიფომ, ისე ადგილობრივმა ადმინისტრაციამ პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ კულტურის დაფინანსებაზე. ძირითადი მიზანია, შემცირდეს კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული უთანასწორობა, რომელიც არსებობს ქალაქისა და განაპირა ტერიტორიების მოსახლეობას შორის. ეს უმთავრესი მიზანი მიღწეული იქნება ქალაქებსა და სოფლებში კულტურული ცხოვრების განვითარების გზით. დღეისათვის გარეუბნების კულტურული ცხოვრება ნაკლებად აქტიურია. მეორე მნიშვნელოვანი მიზანი სოციალური კოჰეზიის განვითარებას ეხება. ყოველივე ეს მთელი საზოგადოების მიზანს უნდა წარმოადგენდეს, რაც ადამიანურ ღირსებათა პატივისცემას დაემყარება.

საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში აქტიურმა მონაწილეობამ, შესაძლოა, შედარებით დაბალი სოციალური კატეგორიის მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირებას შეუწყოს ხელი. ამის გამო საჭიროა, უზრუნველყოფილი იქნას კულტურულ შემოთავაზებათა ფართო სპექტრი.

ამასთან, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანი ყველა კატეგორიის მოქალაქისათვის მისაწვდომი უნდა იყოს, ქალთა, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების ჩათვლით. განსაკუთრებული დახმარება შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანებს ესაჭიროებათ.

### *აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ფარგლებში შესრულებული კულტურული პროექტების გამოცდილება*

საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ერთად, მონაწილეობს ევროკავშირის კულტურის პროგრამაში (2011-2015 წწ „EuroEast Culture“ და 2015-2018 წწ მიმდინარეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა „კულტურა და კრეატიულობა“, „Culture&Creativity“). მნიშვნელოვანია პროგრამების ანალიზი, რამდენად გათვალისწინებულია კულტურული მრავალფეროვნების და კერძოდ, ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის საკითხი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელშეწყობა და ჩართულობა ძალზე მცირეა. ამავდროულად, ამ მიმართებით საინტერესოა საერთაშორისო პროგრამების და პროექტების მიმოხილვა.

მაგალითად, 2011-2015 წწ „EuroEast Culture“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 17 პროექტიდან საქართველო 15 პროექტის წევრი იყო, აქედან ერთ-ერთი პროექტი - „კავკასიის კულტურის ინიციატივათა ქსელი“ (CAUCULT) მიმართული იყო კავკასიის სამი ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის ჩართვისაკენ კულტურულ ცხოვრებაში. კერძოდ, უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობა მოსახლეობის იმ ფენებში (მათ შორის, ეროვნული უმცირესობების), რომელთაც კულტურაზე სავარაუდოდ ყველაზე ნაკლები წვდომა აქვთ, კულტურული ღონისძიებების წახალისებას და ე.წ. „კულტურათა მუშაკების ქსელის“ შექმნას საქართველოს რეგიონებს შორის და კავკასიაში. პროექტი დასრულდა 2015 წელს, აღსანიშნავია კვლევა, რომელიც აჭარაში, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში და თბილისში ჩატარდა. პროექტის ჯგუფმა კვლევის მეთოდად გამოიყენა ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის მეთოდი (კვლევაში სულ 110 ადამიანი მონაწილეობდა). კვლევამ გამოავლინა პრობლემები, რატომ რჩება რეგიონში კულტურა ჯერ ისევ ბევრისთვის მიუწვდომელ ფუფუნებად, რატომ არ აქვს რეგიონის ახალგაზრდობას წვდომა კულტურულ ღონისძიებებზე, რატომ ვერ ხდება თემიდან წამოსული კულტურული ინიციატივების წახალისება და რა შეიძლება გაკეთდეს ამ ხარვეზების გამოსასწორებლად.

**რეგიონში ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში** - ეს არის ყველაზე მგრძობიარე საკითხი, რადგან უმუშაოდ უკავშირდება გარკვეული ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების აღზრდისა და განათლების ეთიკის საკითხებს. ერთი მხრივ, კულტურ ღონისძიებებში ძირითადად ქალები და ბავშვები მონაწილეობენ, მაგრამ გამოცდილება

გვიჩვენებს, რომ მოზარდი გოგონები და ახალგაზრდა ქალები ერიდებიან სათემო კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას.

**ინფორმაციის ნაკლებობა ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურაში.** თბილისსა და განსაკუთრებით რეგიონში მცხოვრები თემები განიცდიან უყურადღებობას სწორედ კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების მხრიდან. თუკი რეგიონი არ არის ტურისტული ცენტრი, მაშინ იქ ნაკლებად ელოდებიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და მოვლენებს. თვით ცენტრალური მედიაც კი იშვიათად აშუქებს კულტურულ ღონისძიებებს, თუ ის რაიმე სკანდალს ანდა პოლიტიკას არ უკავშირდება (უნდა ითქვას, რომ ბოლო 3-4 წლის განმავლობაში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, რადგან დაარსდა ან განახლდა რეგიონული ტელევიზია და ყურადღება ექცევა რეგიონში მიმდინარე მოვლენებს).

**ადგილობრივი თემის მოთხოვნის შესწავლა** საუკეთესო შემთხვევაში რეგიონის ცენტრში ხდება, მაშინ, როდესაც კვლევამ აჩვენა, რომ სასურველია, რეგიონებში არსებობდეს საბჭოები (დროებითი მაინც), რომლებიც გამოავლენდნენ, თუ რისი გაკეთებაა საჭირო ადგილზე განათლებისა და კულტურის დონის ასამაღლებლად. მნიშვნელოვანია, მოხდეს ადგილობრივი თემის კულტურის პოლიტიკაში უფრო აქტიურად ჩართვა და მათი საჭიროებათა ნუსხის დადგენა.

**ადგილობრივი მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარება.** კვლევამ უჩვენა, რომ ადგილობრივი მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარება კულტურის სფეროში ხდება ე.წ. ინერციით, თემში ყოველგვარი წინასწარი მოთხოვნის შესწავლის გარეშე. რეალურად ეს არის ე.წ. „ივენთ მენეჯმენტის“ დონეზე დაყვანილი ქმედება, რომელიც რეგიონში, შესაძლოა, მართლაც ღირსშესანიშნავ კულტურულ ღონისძიებებს გეგმავს, მაგრამ ნაკლებად ჩანს მასში თვითონ თემის ჩართულობა<sup>2</sup>.

**მნიშვნელოვანია, თუკი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში განხორციელდება სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობა, ადგილობრივ დონეზე ჩატარდება ღია კონკურსები კულტურის სფეროს და ახალი იდეების დაფინანსებისათვის.**

მიუხედავად კულტურის სფეროში განხორციელებული სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებისა თუ პროგრამების წარმატებისა, დონორები და ბენეფიციარები შედეგების ანალიზისას გარკვეულ შეზღუდვებსაც აღნიშნავენ:

---

<sup>2</sup> პოზიტიურ მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ „კავკასიური სახლის“ ერთი მცირე ბიუჯეტისანი პროექტი, რომელიც ყოველწლიურად გასცემს მცირე გრანტებს 300-500 ლარის ოდენობით (ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიების განხორციელება მოხერხდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში).

დაფინანსებული კულტურის პროექტების საშუალოდ ნახევარზე მეტს გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემები ექმნება მდგრადობის თვალსაზრისით;

ხშირ შემთხვევაში დაფინანსებული კულტურის პროექტები წლების შემდეგ იმავე სახისაა და ნაკლებად ვითარდება;

კულტურის პროექტების განვითარების პერსპექტივები დიდად არის დამოკიდებული ცალკეულ სუბიექტებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, თუმცა ცალკეულ პროექტებს შორის თანამშრომლობის მაგალითები ცოტაა ან საერთოდ არ არის.

კულტურის პროექტების განვითარებისა და სამომავლო დაფინანსების პერსპექტივები დამოკიდებულია მოქნილ საგადასახადო სისტემასა და ეკონომიკური დებულებების მარტივ რეგულაციებზე (მაგალითად, კანონი სპონსორის ინსტიტუტის შესახებ, შეღავათების მოდელი კულტურაში და ა.შ.).

დოკუმენტში განგებ არ შევხებით სხვა პრობლემებს და ისეთ საკითხს, როგორც **კულტურის პოლიტიკა და მეცენატობა**, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს არის საკანონმდებლო ორგანოს უშუალო პრეროგატივა და კანონის შესამუშავებლად ბევრად კომპეტენტური კვლევაა საჭირო, ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო კულტურის ექსპერტების ჩართვა მუშაობის პროცესში. თუმცამიგვაჩნია, რომ კანონს მეცენატობის შესახებ შეუძლია მნიშვნელოვნად წამოწიოს რეგიონში და ზოგადად ქვეყანაში კულტურის პოლიტიკის საკითხები, განავითაროს ძალიან ბევრი სფერო როგორც დედაქალაქში, ისე პერიფერიებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ, სამწუხაროდ, **მოცემულ ეტაპზე არ ხდება მნიშვნელოვანი რესურსის ხელშეწყობა** - ერთი მხრივ, ქართული დიასპორის ხელშეწყობა კულტურული იდენტობის შენარჩუნების მიზნით და, მეორე მხრივ, მათი ჩართვა ქართული კულტურის პოპულარიზაციაში. ამავდროულად, **ქართულ დიასპორასთან ერთად მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული ეთნიკურ / რელიგიურ უმცირესობათა და თემთა ჩართულობის ხელშეწყობა**, რომელთა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა არის ხიდი თანამშრომლობის განვითარებისა და ინტეგრაციისა ევროპასა და საერთაშორისო თანამეგობრობაში, ასევე, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა.

*კულტურული მრავალფეროვნება, შემოქმედებითი პოტენციალი და ეკონომიკური განვითარება*

2015 წელს გაერთიანებული ერების მიერ გამოცხადდა გლობალური "დღის წესრიგი" მომდევნო 15 წლის განმავლობაში. 17 გლობალური პრიორიტეტიდან, 7 მათგანი დაკავშირებულია კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობასთან<sup>3</sup>. ქვეყანაში კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთობა დღეისათვის გადამწყვეტ ფაზაშია. ერთი მხრივ, შეინიშნება კულტურის უდიდესი როლის ფართო აღიარება ეკონომიკასა და წარმოებასთან

მიმართებით, მეორე მხრივ კი, ეს ყველაფერი მხოლოდ საუბრის დონეზე რჩება და რეალური ნაბიჯებით არ არის განმტკიცებული. საქართველოში, მოცემულ სფეროში დიდი ეკონომიკური პოტენციალის მიუხედავად, საკითხის განვითარების თაობაზე კონცეფცია, სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ განსაზღვრულა.<sup>3</sup>

საქართველოში იდეა, რომ კულტურული მრავალფეროვნება, მათ შორის ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობა, უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკურ ზრდას, ექსპორტისა და დასაქმების მატებას, რომ უნდა გაძლიერდეს მისი, როგორც სახელმწიფოს განვითარების პოზიტიური ფაქტორის ფუნქცია, ჯერჯერობით არ არის პოპულარული (განსაკუთრებით სახელმწიფო სტრუქტურებში).

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს და მხარი დაუჭიროს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნებას. კერძოდ, შექმნას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, მოახდინოს კულტურული გაერთიანებებისა და მათი მუშაობის მხარდაჭერი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი წვლილისა და როლის აღიარება და გაატაროს სხვა თანმდევი ღონისძიებები, რათა ადამიანებს ხელი მიუწვდებოდეთ მრავალფეროვანი კულტურული თვითგამოხატვის სხვადასხვა ფორმაზე (მათ შორის, პროფესიულ და უწყვეტ განათლებაზე).

აქვე აღსანიშნავია სივრცობრივი ასპექტი, რომელიც საშუალებას იძლევა, კულტურის სფეროს საქმიანობა განიხილებოდეს როგორც განვითარების, ისე მისი იმ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულთან კავშირის მიხედვით, სადაც ის არის გავრცელებული. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია ადმინისტრაციული ბარიერების გადალახვის დროს, მოცემულ სივრცეზე შესვლის ან შემდგომი ოპერირებისთვის. კულტურის სფერო, გარდა შემოქმედებითი პროცესებისა, გულისხმობს კულტურის ეკონომიკის, სამართლის, დაფინანსებისა და ფონდების მოძიების, მართვის, ინფორმირების, პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სხვათა ერთობლიობას.

---

<sup>3</sup> „შემოქმედებითი ინდუსტრიები მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 4,5% პროცენტს შეადგენს და ყოველწლიური 10%-იანი პროგნოზირებული ზრდა აქვს. ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოებისა და მომსახურების სფეროები. აღნიშნული სექტორი ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაო ადგილების შექმნის საუკეთესო ტემპებს ამჟღავნებს და უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით ევროკავშირის 8.3 მილიონ მოქალაქეს, რომელთა საერთო შემოსავალი შეადგენს 558 მილიარდ ევროს; უზრუნველყოფს სამუშაო ადგილით უფრო მეტ ახალგაზრდას, ვიდრე ნებისმიერი სხვა სექტორი“ (ინფორმაცია ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამიდან „კულტურა და კრეატიულობა“ <https://www.culturepartnership.eu/ge/page/culture-matters>).

## რეკომენდაციები:

პოლიტიკის დოკუმენტი გვთავაზობს რეკომენდაციებს, მათ შორის სასურველია:

- „საბჭოების“ შექმნა ადგილზე (დროებითი ან მუდმივმოქმედი), რომელიც შეისწავლის საჭიროებებს და შეიმუშავებს დოკუმენტს რეგიონში კულტურის და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების შესახებ, ასევე, ხელს შეუწყობს კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის იდენტიფიცირებას, კვლევას და სხვ.

*„საბჭოები“ გათვალისწინებული უნდა იქნას: ა) პრემიერ-მინისტრის აპარატთან (უწყებათაშორისი ორგანო, სადაც სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანდებიან ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესის და მედიის წარმომადგენლები; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში, სადაც მოხელეებთან ერთად გაერთიანდებიან ექსპერტები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის, ეთნიკურ/ რელიგიურ უმცირესობათა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების), ბიზნესის და მედიის წარმომადგენლები.*

- სპეციალური ფონდის განვითარება (სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით) ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფონდის გამოყოფა, რომელიც თავისუფალი კონკურსების გზით შემოსული კულტურის საპროექტო იდეების განხორციელებას მოხმარდება. ამავდროულად, დააფინანსებს ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა საჭიროებებსა და საპროექტო იდეებს.
- საინფორმაციო ცენტრების და საზოგადოებრივი სივრცეების დაარსების ხელშეწყობა ან არსებულის გააქტიურება, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან ერთად, დაეხმარება ადგილობრივი კულტურული პროექტების მომზადებას, განხორციელებას, გაშუქებას. ასევე, გათვალისწინებული იქნას კულტურის სფეროში საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო პროექტების გამოცდილება.
- ადგილობრივ დონეზე და პოტენციურ პარტნიორებში, საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო საზოგადოების ბენეფიციარებში, მათ შორის ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობებში, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით, ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობით.
- მიზანშეწონილია, პრემიერ-მინისტრის აპარატთან, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით განვითარდეს ჯგუფი, რომელიც იმუშავებს „კულტურა 2025“

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის, ასევე, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმის“ კულტურის მიმართულების, იუნესკოს 2005 წლის კონვენციის იმპლემენტაციის 4-წლიანი ანგარიშის და სამოქმედო გეგმის კოორდინირებასა და ხელშეწყობაზე და მონიტორინგზე. ასევე, კულტურის სფეროში სხვა დოკუმენტაციის და კანონმდებლობის დახვეწაზე სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების გათვალისწინებით.

- უწყებათაშორისი თანამშრომლობით და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით შემუშავდეს კულტურისა და შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებანი და ინსტრუმენტები.
- საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით, შესაბამისი პროგრამებისა და ქმედებების განხორციელების გზით. მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართული დიასპორის ხელშეწყობა კულტურული იდენტობის შენარჩუნების მიზნით და, მეორე მხრივ, მისი ჩართვა ქართული კულტურის პოპულარიზაციაში. ამავდროულად, ქართულ დიასპორასთან ერთად საქართველოში არსებული ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა და თემთა ჩართულობის, თვითმყოფადი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის განვითარებისა და წარმოჩენის ხელშეწყობა, მათ შორის ტურისტული მარშრუტების განვითარება *(მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს დიასპორის სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ და ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ)*.
- სახელმწიფო პროგრამებში გაძლიერდეს იუნესკოს კონვენციის შესაბამისად ადამიანის უფლებების დაცვა, ორიენტირებული ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის და თვითმყოფადობის დაცვაზე, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებაზე, მათ შორის, კონფლიქტის ზონებში.
- მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს შეფასების მეთოდოლოგია: ეროვნულ/რელიგიურ უმცირესობათა კულტურული რესურსების და შემოქმედებითი პოტენციალის გავლენა ადგილობრივ და რეგიონულ განვითარებაზე ევროპული და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.
- სახელმწიფომ გაითვალისწინოს კულტურის სფეროში ეკონომიკური დებულებების მარტივი რეგულაციების ხელშეწყობა, როგორებიცაა კანონი სპონსორის ინსტიტუტის შესახებ, შეღავათების მოდელი საგადასახადო სისტემაში, დაბალპროცენტიანი სესხები და ა.შ.
- სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით გაიმართოს კონსულტაციები სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან იუნესკოს 2005 წლის კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლების რეალიზების მიზნით სამოქმედო

გეგმის შემუშავებისათვის. სახელმწიფომ ბიუჯეტში გაითვალისწინოს კულტურის სფეროში მოღვაწე ქალთა, ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა და სხვა სოციალურად დაუცველ ფენათა კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმების განვითარება, სოციალურ საწარმოთა და ბიზნესინკუბატორების შექმნის ხელშეწყობა.

- განვითარდეს საგზაო რუკა საქართველოს (შემდგომ სხვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების და სამეზობლო რეგიონში) ქალაქებსა და რაიონებში ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა მნიშვნელოვანი კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის იდენტიფიცირებისთვის.
- მოხდეს საქართველოში ეროვნულ/რელიგიური კულტურული რესურსების და შემოქმედებითი პოტენციალის შეფასება და კვლევა (შემდგომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში).
- ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების პროცესში ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობა, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებისათვის საერთაშორისო გაცვლებში და პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რათა საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება უკეთ განვითარდეს და წარმოჩინდეს საერთაშორისო ასპარეზზე (სახელმწიფო ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით).



## დასკვნა:

დღეს კულტურული მრავალფეროვნების, მათ შორის ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა თვითმყოფადი კულტურის დაცვა და განვითარება ისეთივე მნიშვნელობის უნდა იყოს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. საქართველოს და კავკასიის საკმაოდ რთული გეოპოლიტიკური გარემოს მშვიდობის ერთ-ერთი გარანტი მრავალფეროვანი კულტურული გარემოს დაცვა და შენარჩუნებაა.

საქართველო იღვწის ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებისათვის, სადაც ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნილ ვალდებულებებში ერთ-ერთი დირექტივა სწორედ კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას ეხება. ეს არის საფუძველი, რომ ქვეყანაში ევროპული ღირებულებები დამკვიდრდეს და განვითარდეს.

მოცემული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, გვეჩვენებინა ამ კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა, პრობლემის მოგვარების გზები და გვეპოვა შესაბამისი ალტერნატივა ევროპული და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით. დოკუმენტი მიზნად ისახავს, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას კულტურული მრავალფეროვნების დაცვის, სხვადასხვა სოციალური ფენების კულტურაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისა და მართვის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებაში.

## დანართი:

### ბიბლიოგრაფია:

- „კულტურის სტრატეგია 2025“ 2016 წ., საქართველოს კულტურის სამინისტრო;
- „საქართველოს კულტურის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი“ 2015 წ., საქართველოს კულტურის სამინისტრო;
- ასოცირების ხელშეკრულების მე-17 თავი, 362-ე და 363-ე მუხლები;
- „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ სამოქმედო გეგმის“ და 2012-2013წწ შესრულების მონიტორინგი;
- „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმა“;
- ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა 2015-16 წწ, საქართველოს კულტურის სამინისტრო;
- ინტერვიუ, ქ-ნი ფედერიკა მოგერინი (10.06.16 ბრიუსელი, ევროკავშირის მაღალი დონის შეხვედრის შემდგომ);
- საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია, 2013 წ.;
- იუნესკოს კონვენცია „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, პარიზი, UNESCO, 20 ოქტომბერი, 2005 წ.;
- განახლებული ფინანსური ინფორმაცია პროექტთან "Check in Georgia" დაკავშირებით 2016 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით.;
- პოლიტიკის დოკუმენტი თემაზე “იუნესკოს კონვენციის კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იმპლემენტაცია”, განხორციელებული 15.08.2013 – 30.09.2013 წწ. აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის მე-4 ჯგუფის კულტურის ქვეჯგუფის მიერ (“Strengthening and Capacity Building of the Georgian National Platform for the Eastern Partnership” პროექტის ფარგლებში ) ;
- გაერთიანებული ერების გლობალური "დღის წესრიგი" მომდევნო 15 წლის განმავლობაში, 2015 წ. ;
- 2011 -15 წწ -EuroEast Culture პროგრამა 2011 -2015 წწ ;
- „კულტურა და კრეატიულობა“ (Culture&Creativity “), აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა 2015-18 წწ;
- ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა<sup>4</sup> საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია; № 3, 2010.

---

<sup>4</sup> <http://www.unesco.org/new/en/culture/themes/cultural-diversity/diversity-of-cultural-expressions/what-is-the-fund/>);

-კულტურის პოლიტიკა თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ჭრილში (მომზადებული ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს - USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის -“საზოგადოებრივი ფორუმი და დიალოგი” – ფარგლებში, ცირა ელისაშვილი, 2011 წ.);

-„კავკასიის კულტურის ინიციატივათა ქსელი - პროექტი CAUCULT“ (დაფინანსებული 2011 - 2015 წწ „EuroEast Culture“ პროგრამის ფარგლებში );

-პროექტი "კულტურის ინდიკატორები განვითარებისათვის" (CDIS), 2016 წ.;

-ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დისკუსიათა ჩანაწერები (2012 წლის 22 მარტი, თემა: „მოქალაქის როლი პოლიტიკაში - რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი“ და 2012 წლის 12 ნოემბერს გამართული საჯარო დისკუსია თემაზე: „საქართველოს კულტურის პოლიტიკა წარსულსა და მომავალს შორის“);

-საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაცია, იუნესკოს გენერალური კონფერენცია, 1966 წლის 4 ნოემბერი;

-მეხიკოს დეკლარაცია კულტურული პოლიტიკის შესახებ; მსოფლიო კონფერენცია კულტურული პოლიტიკის შესახებ, საბოლოო ანგარიში, 1982 წ.;

-შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2010-2013 წწ;

-„დიზაინი საქართველოდან – თბილისი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის შემოქმედებითი ცენტრი“ ( პროექტის ეტაპების გზამკვლევი, 2016 წ.);

-უ. კონორი, „Nation Building or Nation Destroying“, World Politics, t. 24, No.3 (1972), გვ. 319-355;

-Koïchiro Matsuura - A World of SCIENCE, Vol. 1, No. 3, January - March 2006 UNESCO;

Macours. K., Premand, P., Vakis, R. 2013 Demand versus Returns? Pro-poor targeting of business grants and vocational skills training. The World Bank. Latin America and the Caribbean Region. Poverty, Gender and Equity Unit;

-Don Adams & Arlene Goldbard: Community, Culture and Globalization. Published in: GIA Reader, Vol 14, No 3 (Fall 2003); New York: The Rockefeller Foundation Creativity & Culture Division;

-WWCD Project Director Webster`s Wold of Cultural Democracy. The World Wide Web center of The Institute for Cultural Democracy , 1996-2001.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ტელ.: +995 32 293 11 28

მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28

ელ-ფოსტა: [np@ei-lat.ge](mailto:np@ei-lat.ge)

ვებგვერდი: [eap-csf.ge](http://eap-csf.ge)